



[RSS](#)



- [მთავარი](#)
- [ახალი ამბები](#)
- [ეკონომიკა](#)
- [ტექნოლოგიები](#)
- [სამართალი](#)
- [კომენტარი](#)
- [კულტურა](#)
- [საზოგადოება](#)
- [ბლოგები](#)

[Home](#) / [ახალი ამბები](#) / მთავრობამ RMG-ს ლიცენზიით სარგებლობის ვადა გაუგრძელა
2014.04.07


მთავრობამ RMG-ს ლიცენზიით სარგებლობის ვადა გაუგრძელა

[საყდრისი](#),
[მიშა მეფარიშვილი](#)

ამავე თემაზე:

[კულტურის სამინისტროს 'ოქროს კვეთა' ინტერესთა კონფლიქტის ფონზე გურამ ოდიშარია აუცილებლად უნდა შეიქმნას საყდრის-ყაჩაღიანის მუზეუმი მთავრობა საყდრისზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ დოკუმენტაციას აქვეყნებს "წყლის ნაყვას" მთავრობის ადმინისტრაციასთან \[ვიდეო\] საყდრისის საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე ჟურნალისტებს გადაღების უფლებას არ ამღებენ](#)

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, კომპანია RMG-ს წიაღისეულის მოძიება-მოპოვების ლიცენზია 9 თვით გაუგრძელდა, ხოლო მისი შემდეგ "მაინინგ ინვესთმენტო" წიაღისეულის მოპოვებას გააგრძელებს.



სალიცენზიო პირობების მიხედვით, RMG-ს წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია 2014 წლის 7 აპრილამდე ჰქონდა. თუმცა პრემიერის 4 აპრილის გადაწყვეტილებით, ლიცენზიის სარგებლობის ვადა 2015 წლის პირველ იანვრამდე გაუგრძელდა.

მას შემდეგ, რაც RMG-ს ლიცენზია ამოწურება, ბოლნისის ტერიტორიაზე წიაღისეულის მოპოვებას მაინინგ ინვესთმენტო გააგრძელებს. თუმცა მაინინგ ინვესთმენტის მიერ 2012 წელს ნაყიდი ლიცენზია არ შეიცავს საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიას, სადაც მეცნიერების მტკიცებით უძველესი ოქროს მადარო მდებარეობს. ხოლო RMG-ის სალიცენზიო ტერიტორიაზე საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაც შედის.

საჯარო რეესტრის მონაცემებით, “მაინინგ ინვესტმენტის” 2012 წლი 13 თებერვალს დაარსდა. დაფუძნებისას მისი დირექტორი და მესაკუთრე ალვიდას ბრუსოკასია, რომელიც კვარციტის (ამჟამად MRG) სამეთვალყურეო საბჭოს წევრიცაა. “მაინინგ ინვესტმენტის” ამჟამინდელი დირექტორი - სოლომონ ცაბაძე RMG-ის კომერციული დირექტორის თანამდებობას იკავებს.

“მაინინგ ინვესტმენტს” ლიცენზია ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტში სასარგებლო წიაღისეულის- ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალები და ბარიტი, შესწავლა-მოპოვებაზე 1229, 26 ჰა. ფართობზე 2041 წლის 16 აპრილამდე ექნება.

სალიცენზიო ფართობი მოიცავს მადნეულის საბადოს, მისი აღმ. ფლანგის ჩათვლით. იმ წიაღისეულის, რაზედაც გაიცემა ლიცენზია, ყველა სახის ტექნოგენურ წარმონაქმნს, მათ შორის ოქრო-სპილენძისა და ოქრო-ბარიტულ მადნების გამდიდრების კუდებს, გროვებს, სანაყაროებს, საწყობებს, საყდრისის საბადო, კვირაცხოვლის, ფოსტისქედის, ყაჩაღიანისა და მამულისის უბნების ჩათვლით. არ მოიცავს საყდრისის საბადოს ყაჩაღიანის უბნის იმ ტერიტორიას, რომელსაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი ჰქონდა.

ნინო გუჯარაიძე, “მწვანე ალტერნატივას” აღმასრულებელი დირექტორი ამბობს, რომ ვადის გადაწევა სწორედ იმას უკავშირდება, რომ კულტურის სამინისტრო საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე წიაღისეულის მოპოვების ნებართვას არ აძლევდა, 2014 წლის 13 იანვარს RMG-იმ წიაღისეულის მოპოვების ნებართვა მიიღო, მას შემდეგ, რაც კულტურის სამინისტრომ განაცხადა, რომ საყდრისში უძველესი ოქროს მადაროს არსებობა არ დადასტურდა.



ნეტგაზეთი
 დარეკეთ 296 08 30. ან მოგვწერეთ
 info@netgazeti.ge

Like 23
 +1 0
 Tweet 1

ამავე თემაზე:

- [ოდიშარია: RMG გოლდი საყდრისი-ყაჩაღიანის უბანზე კანონის ფარგლებში მოქმედებს](#) 2014.04.24
- [RMG: საყდრისში აქციის მონაწილეები პროვოკაციებს აწყობენ](#) 2014.04.23
- [ირაკლი ღარიბაშვილი: საყდრისის თემაზე სპეკულაციები უნდა დასრულდეს](#) 2014.04.23
- [აქციის მონაწილეები: საყდრისის ნგრევა დაიწყო](#) 2014.04.18
- [კულტურის სამინისტროს საყდრისში სპეციალისტების დაშვებას სთხოვენ](#) 2014.03.19

კომენტარი